

# づინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი

კონსოლიდირებულ  
ლიკ ჰოლდინგი  
ნიკორა

2018 წლის 30 ივნისი  
დანერჩევი

2017 წლის 31 ივნისი  
დანერჩევი

2016 წლის 31 ივნისი  
დანერჩევი

## აქტივები

გუდგილი	43 285	43 285	43 285
ძირითადი საშუალებები	97 025	75 467	68 559
არამატერიალური აქტივები	2 771	2 930	2 134
მსმინარე ნარგებები	463	466	-
გადასაღებული მოგების გადასახადის მოთხოვნა	-	-	214
ინვესტიციები შვილობილებში	15	20	-
გაცემული გრძელვადის სუსტი	-	18	16
სულ გრძელვადიანი აქტივები	<b>143 559</b>	<b>122 170</b>	<b>113 996</b>
მიშდინარ აქტივები			<b>112 954</b>
სულ მარტები	45 733	45 051	34 562
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11 733	14 256	11 083
სხვა მიმღებადი აქტივები	727	1 584	(38)
გადასახდები მოგების გადასახადის მიმღებადი აქტივი	-	0	-
სულ ფული ხელზე და საბანქო ანგარიშები	3 047	10 734	4 081
სულ მიმღებადი აქტივები	<b>61 240</b>	<b>71 625</b>	<b>49 688</b>
სულ აქტივები	<b>204 799</b>	<b>193 795</b>	<b>163 684</b>
მასივები			<b>160 491</b>
კაპიტალი და რეზივუანტი			
საქვეყნო კაპიტალი	27 861	31 258	34 342
საქმიანო კაპიტალი	-	-	-
გამოსყიდვები აქტივები	(1 326)	(1 294)	(1 294)
გადაფასების რეზერვი	12 240	12 240	7 535
კვეტულობრივი მოგება/ზარალი	16 600	13 675	7 721
სულ მიმღები კომპანიის მფლობელთა კაპიტალი	<b>55 375</b>	<b>55 879</b>	<b>48 304</b>
არამატერიალური წილი - საკუთა კაპიტალი	2 659	2 253	725
არამატერიალური წილი - გადაფასების რეზერვი	462	462	462
მოგება/ზარალი	(340)	(336)	(75)
სულ არამატერიალური წილი	<b>2 781</b>	<b>2 379</b>	<b>1 112</b>
			<b>995</b>

სულ კაპიტალი

	<b>58 156</b>	<b>58 258</b>	<b>49 416</b>	<b>47 501</b>
გრძელვადანით ვალდებულებები	15 124	14 126	36 598	37 121
გადასადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	25 660	25 660	23 928	13 234
სულ გრძელვადანით ვალდებულებები	<b>40 784</b>	<b>39 786</b>	<b>60 526</b>	<b>50 355</b>
მიზანმიზნი ვალდებულებები				
სავჭრო ვალდებულებები	62 335	56 072	40 857	42 431
მიმღინარე სქესები	30 174	25 800	11 214	19 943
გადასახდელი დავიდენდები	-	539	518	-
პრეცენტი	13 137	13 137	-	-
პრეცენტი გადასახდელი სარგებელი	137	137	372	176
ვალდებულების დავროვების სარაოება	76	66	781	85
მიმღინარე მოგების გადასახადი	-	(0)	-	-
სულ მიმღინარე ვალდებულებები	<b>105 859</b>	<b>95 751</b>	<b>53 742</b>	<b>62 635</b>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	<b>204 799</b>	<b>193 795</b>	<b>163 684</b>	<b>160 491</b>

სამითვალყრი საძროს თავმიჯდომარი  
სულ კაპიტალი და ვალდებულებები

ჩასილ სურაშეტილი

აგრძელებული დირექტორი

ირაკლი ბოჭოლიშვილი

# სრული შემოსავლების ანგარიშვება

კონსილიარუტიული პოლიციის ნიკორს

ათასი ლარი  
სულ შემოსავალი  
სულ რეალიზებული საქონლისა და შს პროდუქციის  
თვითღირებულება  
საერთო მოგება

01.01.2017-30.06.2017	2017 ნილი	01.01.2017-30.06.2017	2016 ნილი
187 373	336 255	156 658	269 911
(131 819)	(231 891)	(113 136)	(188 428)
<b>55 554</b>	<b>104 364</b>	<b>43 522</b>	<b>81 483</b>

სხვა შემოსავალი

სულ დასტრიქტულია და მსრულიერებს ხარჯები  
სულ აღმინისტრუაციული ხარჯები  
შემოსავალი დაფინანსებილია  
სხვა ხარჯები

(24 323) (19 938)	(50 363) (32 411)	(18 055) (15 467)	(35 292) (26 832)
<b>9 579</b>	<b>19 774</b>	<b>7 087</b>	<b>17 628</b>
(3 874)	(7 860)	(4 090)	(7 932)
2 443	(1 926)	4 896	(5 473)
(1 678)	(3 921)	(1 384)	(2 622)
<b>6 470</b>	<b>6 067</b>	<b>6 509</b>	<b>1 601</b>

სულ მოგების გადასახადი  
წლის წმინდა მოგება

(748)	(1 140)	(442)	(795)
<b>5 722</b>	<b>4 927</b>	<b>6 067</b>	<b>806</b>

სხვა ძურიანული შემოსავალი როგორც როგორმაგ  
მომზეულია ას ვალიული მიზანის მიზანის ზორავრი  
მიზანთა საშუალების გადაფინანსება

<b>5 722</b>	<b>9 631</b>	<b>6 067</b>	<b>2 015</b>
--------------	--------------	--------------	--------------

პერიოდის მიერთა მიკუთხებული:

სათოვ კამპანიის მულტიპლიფი მიკუთხებული  
არამატერიზირებული წილის მულტიპლიფი მიკუთხებული

5 726 (4)	4 969 (41)	5 950 117	797 9
5 726 (4)	9 655 (24)	5 950 117	1 935 80

სამეთვალყოფილო საბჭოს თავმჯდომარე

განკუთხული

# ფულადი ნაკადების ანგარიშება

კონსოლიდირებული ჰაერდინგი ნიკორა

ათავი ლარი  
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან  
წლის მოგება/ზარალი

კარტინები:  
ცვეთა და ამორტიზაცია  
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მიგებაზარალი  
უინდო მოთხოვნების ხარჯი  
საპროცენტო ხარჯი  
მარტბის დანაკარგები  
ბორჯის ბარათების ჩამოწერა  
მოვალის გადასახადის ხარჯი  
საკურსო სხვალის ზარალი  
ინვესტიციები მექანიზმი  
საოპერაციო შედებები საოპერაციო კაპიტალში ცვლილების

01.01.2018-  
30.06.2018

2017 წელი 30.06.2017  
2016 წელი

5 722	4 928	6 068	806
5 198	7 997	3 972	6 669
-	-	-	(99)
3 874	7 860	4 090	7 932
-	3 449	-	3 690
748	1 140	442	795
(2 443)	1 926	(4 896)	5 473
-	(4)	-	-
13 099	27 300	10 372	25 456

ცვლილება სავჭრო და სხვა მოთხოვნებში  
ცვლილება სასტანციო მატერიალურ მარტბის  
ცვლილება სავჭრო და სხვა კალებულებებში  
ცვლილებების წინასწარ გადახდებში  
ფული საოპერაციო საქმიანობიდან

86	(3 114)	(1 876)	(5 431)
727	(16 546)	(1 952)	(1 131)
10 003	12 049	2 261	9 859
430	284	187	517
24 345	19 973	8 992	29 270

გადახდები პროცენტი  
გადახდები მოვალის გადასახად  
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან

(3 874)	(7 771)	(3 894)	(7 649)
(516)	(1 400)	(775)	(400)
19 955	10 802	4 323	21 221
(26 586)	(10 457)	(5 042)	(8 259)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან  
ბირთოად საშუალებების შეტენა  
ბილური აქტივების შეტენა  
არასტრუქტური აქტივების შეტენა  
შეცვლილების შეტენა  
მირითადი საშუალებების ჩამოწერილ მიღებული ფული  
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან

(26 750)	(11 490)	(5 076)	(7 928)
-	-	-	-
159	(763)	36	(465)
5	(23)	(2)	-
-	1 819	-	134
(26 586)	(10 457)	(5 042)	(8 259)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან  
სესხბილან მიღებული ფული  
სესხბრტე გადახდილი ფული  
ობლიგაციულიდან მიღებული ფული  
აქცეულის გამოშევსრდან მიღებული ფული  
პრივატულიციული აქცების გამოსყოდა

2 865	181 844	-	36 652
-	(198 335)	(9 438)	(52 581)
-	23 775	10 694	9 956
374	-	-	1 872
(3 397)	(5 177)	(419)	(1 462)

შეიღებილი საწარმოს აქციების რეალზებითი ფული დივალენდები  
წმინდა ფული საფინანსობილი

(3 339)	-	13 025	-
(3 497)	7 371	(7 760)	(3 189)
			(5 965)
		(2 352)	(11 528)

ფულადი სახსრების და მთა მცირდებულების ზრდა/შემცირება  
უცხოური ვალუტის კუპტი ფულზე  
ფულადი სახსრები და მთა მცირდებულების დასაწყისში  
ფულადი სახსრები და მთა მცირდებულები პერიოდის ბოლოს

(10 128)	7 716	(3 071)	1 434
2 441	2 978	7 113	(400)
10 734	39	39	(995)
3 047	10 733	4 081	39

სამოგვალყოფილ საპტოს თავმეჯდომარე

კასილ სუბიარეგილი

გიგირალური დირექტორი

ირაკლი ბორიშვილი

# კაპიტალური ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი

კონსოლიდირებული ჰოლდინგი ჩიკორი

სააქციო ძალისას	გამოყენებული ნაკვლებობით	აქციების დაღინდუიტის რეზერვი	აქციების მოგება/ზარალ 0	აქციების მიკუთხებადი	სულ ხათა ეჭიანის	არამარჩებრ ოლებები	სულ
34 351	(1 294)	6 459	12 106	51 622	635	52 257	
-	-	-	797	797	9	806	
-	-	1 138	0	1 138	71	1 209	
-	-	1 138	797	1 935	80	2 015	
0	-	-	-	-	347	347	
1 872	(1 462)	-	-	(1 462)	-	1 872	
-	-	-	-	(35)	(35)	(9)	(44)
-	-	-	-	(5 932)	(5 932)	(33)	(5 965)
-	-	-	-	(1 494)	(1 494)	(25)	(1 519)
-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	(35)	(7 426)	(7 051)	(6 771)
410	-	-	-	-	280	280	
34 761	(1 294)	7 562	5 477	46 506	995	47 501	

2016 წლის 1 იანვარი

წლის მოგება/ზარალი	გამოყენება	აქციების დაღინდუიტი	სულ ხათა
სხვა გაერთიანებული შემთხვევადი	გამოყენება	არამარჩებრ	ოლებები
სულ გაერთიანებული შემთხვევადი	გამოყენება	მიკუთხებადი	სულ
34 761	(1 294)	7 562	47 501

2016 წლის 31 დეკემბერი

წევრულებრივი აქციების გამოყენება	აქციების გაფინანსება	აქციების გაფინანსება	სულ ხათა
სხვა გაერთიანებული შემთხვევადი	გამოყენება	არამარჩებრ	ოლებები
სულ გაერთიანებული შემთხვევადი	გამოყენება	მიკუთხებადი	სულ
34 761	(1 294)	7 562	47 501

წლის მოგება/ზარალი	გამოყენება	აქციების გაფინანსება	სულ ხათა
სხვა გაერთიანებული შემთხვევადი	გამოყენება	არამარჩებრ	ოლებები
სულ გაერთიანებული შემთხვევადი	გამოყენება	მიკუთხებადი	სულ
34 761	(1 294)	7 562	47 501

შესყიდვის თარიღითვის არამატინგრალუბელ წილზე  
გადაცემის (იხ. აქციების გაყიდვის ინფორმაცია)  
გამოყენებისთვის)

სს ნიკოლას მიკრ ნიკოლა ტრანზის აქციების მქანაში პირები	-	-	-	593	593	(593)	-
მიყდვის ეტაპი	-	-	-	5 160	5 160	752	5 912
ბიზნესის გაურთისანებელი	-	-	-	-	-	-	-
ტრანზაქციების მუდმივებლივობა	-	-	-	-	-	-	-
სხვა გაურთისანებელი შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-
ტრანზაქციების მუდმივებლივობა	-	-	-	-	-	-	-
ბიზნესის გაურთისანებელი	-	-	-	-	-	-	-
სხვა გაურთისანებელი შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-

2017 წლის 31 დეკემბერი

წლის მთვების/ზარალი	-	-	-	5 726	5 726	(4)	5 722
სხვა გაურთისანებელი შემოსავალი	-	-	-	0	-	-	-
სექტ გაერთიანებული შემოსავალი	-	-	-	5 726	5 726	(4)	5 722

ჩვეულებრივი აქციების გამოტევა (აქციების პრიცეპის გადავა ჯრებისა და ანამიტონიტოლუბელ წილის შესაბამის)	0	(32)	-	-	(32)	406	374
პრიცეპირებული აქციების გამოტევა	-	-	-	-	-	-	-
პრიცეპირებული აქციების გამოტევა	(3 397)	-	-	-	(3 397)	-	(3 397)
აგის წილის ზრდა 2,5%-თი	-	-	-	-	-	-	-
გადაფაქტურული ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	-	-	-	-	-	-
დოფინები	-	-	-	-	-	-	-
შესყიდვის თარიღითვის არამატინგრალუბელ ზოლზე	(2 801)	(2 801)	(2 801)	(2 801)	(2 801)	(2 801)	(2 801)
გადაფაქტურული ინფორმაცია	-	-	-	-	-	-	-
სს ნიკოლას მიკრ ნიკოლა ტრანზის აქციების მესამე პირები	-	-	-	-	-	-	-
მიყდვის ეტაპი	-	-	-	-	-	-	-
ბიზნესის გაურთისანებელი	-	-	-	-	-	-	-
სხვა გადაფაქტურული შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-
ტრანზაქციები მუდმივებლივობა	-	-	-	-	-	-	-
(3 397) (32)	(32)	(2 801)	(2 801)	(6 231)	406	(5 824)	
27 861 (1 326)	12 240	16 600	55 375	2 781	58 156		

სამოთვალაურეო საპტონს თავმჯდომარე

ნასილ სუბიაშვილი

2018 წლის 30 ოქტომბერი

გენერალური დირექტორი

ირაკლი ბოტოლიშვილი

სს “ნიკორასა” და შვილობილი კომპანიების ჯგუფის 2018 წლის პირველი 6 თვის  
კონსოლიდირებული ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## 1. ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის  
გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში  
წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების  
შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი  
გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალებების გადაფასების  
დორს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსი  
ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით.  
გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სისტირით, იმ  
მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ  
ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი  
რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა  
სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან  
დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული  
იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-  
ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო  
გადაფასების რეზერვი კამიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც  
გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო  
ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ  
არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი  
ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთნ  
დაკავშირებული ძირითადი საშუალების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების  
შეწყვეტა.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება  
თვითდირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი  
გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითდირებულება განისაზღვრება შესყიდვის  
ფასით, იმპორტაზე დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და  
სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა  
კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი  
აღირიცხებიან ცალკეალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული  
კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის,  
გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული,  
აღირიცხება თვითდირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება

მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯიშუფის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკვება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერქ, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების გადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები

- 30-95 წელი (ხანგრძლიობა აღებულია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული უძრავი ქონების შეფასების აქტის მიხედვით)

მანქანები და მძიმე ტექნიკა

- 5 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ა.შ.

- 5 წელი

ტრანსპორტი

- 5 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

- 7-10 წელი (ან იჯარის ვადა, თუკი ის ნაკლებია).

## 2. შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

2018 წლის 30 ივნისის, შეიღებილი	წლით %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს ნიკორა ტრეიდი	100	საქართველო	14 აგვისტო, 2006 წელი	საცალო გაყიდვა	22 დეკემბერი, 2009 წელი
შპს ნუგეში	100	საქართველო	18 ივნისი 2010, წელი	საცალო გაყიდვა	1 ივნისი, 2015 წელი
შპს აგია	82.50	საქართველო	15 დეკემბერი, 1995 წელი	კალმახის ფერმა	13 ნოემბერი, 2006 წელი
შპს ოქეანი	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	თევზის წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი

შპს ინტერი	100	საქართველო	19	დისტრიბუცია	19 სკემბერი, 2007 წელი
შპს ინტერი-ფორ	100	საქართველო	3 ნოემბერი, 2004 წელი	დისტრიბუცია	3 ნოემბერი, 2004 წელი
შპს ნიკორა კახეთი	100	საქართველო	10 მარტი, 2006 წელი	დისტრიბუცია	10 მარტი, 2006 წელი
შპს პარტნიორი	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	დისტრიბუცია	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს მულტიტრეიდი	100	საქართველო	29 ივნისი, 2009 წელი	იმპორტი	29 ივნისი, 2009 წელი
შპს ნიკორა	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	ნახევარფაბრიკატების ხორცის და	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს ნიკორა 7	100	საქართველო	15 მარტი, 2006 წელი	ხორცის წარმოება	15 მარტი, 2006 წელი
შპს ჩვენი ცერმერი	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	რძის პროდუქტების წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს მზარეული 1	100	საქართველო	5 ნოემბერი, 2004 წელი	პურატოლუქტების წარმოება	5 ნოემბერი, 2004 წელი
შპს კულინარი	50	საქართველო	5 ივლისი, 2015 წელი	ნახევარფაბრიკატების წარმოება	5 ივლისი, 2015 წელი
შპს ნაფარეულის ძეველი გარანტი	100	საქართველო	25 ივნისი, 2009 წელი	ღვინის წარმოება	25 ივლისი, 2009 წელი
შპს ლაზი	100	საქართველო	4 დეკემბერი, 2014 წელი	საცალო გაფილვა	4 დეკემბერი, 2014 წელი
შპს ანინტერი 2005	100	საქართველო	4 თებერვალი, 2005 წელი	არააქტიური	4 თებერვალი, 2005 წელი
შპს ნიკორა აგრო	100	საქართველო	11 მარტი, 2009 წელი	სოფლის მეურნეობა	11 მარტი, 2009 წელი
შპს როიალ კასპი	50	საქართველო	9 მარტი, 2010 წელი	არააქტიური	9 მარტი, 2010 წელი
შპს ცუცხვათი	100	საქართველო	7 მაისი, 2004 წელი	არააქტიური	7 მაისი, 2004 წელი
შპს ნიკორა ბაკურიანი	50	საქართველო	18 დეკემბერი, 2015	სასტუმრო	18 დეკემბერი, 2015
შპს ვებ ტრეიდი	100	საქართველო	13 ივნისი, 2016	ინტერნეტ მაღაზია	13 ივნისი, 2016
შპს მილა საქართველო	50	საქართველო	17 ივლისი 2013	იმპორტი	17 ივლისი 2013

შპს ნიკორა ტრეიდი	წილი %	ქვეყნა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
			100	საქართველო	
შპს ნიკორა ტრეიდი	100	საქართველო	14 აგვისტო, 2006 წელი	საცალო გაფილვა	22 დეკემბერი, 2009 წელი
შპს ნუბეჭი	100	საქართველო	18 ივნისი 2010, წელი	საცალო გაფილვა	1 ივლისი, 2015 წელი
შპს აგრი	82.50	საქართველო	15 დეკემბერი, 1995 წელი	კალმახის ფერმა	13 ნოემბერი, 2006 წელი
შპს ოქეანე	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	თევზის წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს ინტრეიდი	100	საქართველო	19 დეკემბერი, 2007 წელი	დისტრიბუცია	19 სკემბერი, 2007 წელი
შპს ინტრეიდი-ფორ	100	საქართველო	3 ნოემბერი, 2004 წელი	დისტრიბუცია	3 ნოემბერი, 2004 წელი
შპს ნიკორა კახეთი	100	საქართველო	10 მარტი, 2006 წელი	დისტრიბუცია	10 მარტი, 2006 წელი
შპს პარტნიორი	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	დისტრიბუცია	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს მულტიტრეიდი	100	საქართველო	29 ივნისი, 2009 წელი	იმპორტი	29 ივნისი, 2009 წელი

შპს ნიკორა	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	ხორცის და ნახევარფაბრიკატების წარმოება	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს ნიკორა 7	100	საქართველო	15 მარტი, 2006 წელი	ხორცის წარმოება	15 მარტი, 2006 წელი
შპს ჩვენი ფერმერი	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	რძის პროდუქტების წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს მზარეული 1	100	საქართველო	5 ნოემბერი, 2004 წელი	პურპროდუქტების წარმოება	5 ნოემბერი, 2004 წელი
შპს კულინარი	50	საქართველო	5 ივნისი, 2015 წელი	ნახევარფაბრიკატების წარმოება	5 ივნისი, 2015 წელი
შპს ნაფარეულის მედია გარანტი	100	საქართველო	25 ივნისი, 2009 წელი	ღვინის წარმოება	25 ივნისი, 2009 წელი
შპს ლაზი	100	საქართველო	4 დეკემბერი, 2014 წელი 4 თებერვალი, 2005 წელი	საცალო გაყიდვა არააქტიური	4 დეკემბერი, 2014 წელი 4 თებერვალი, 2005 წელი
შპს ანინგბული 2005	100	საქართველო	11 მარტი, 2009 წელი 9 მარტი, 2010 წელი	ხოფლის მეურნეობა არააქტიური	11 მარტი, 2009 წელი 9 მარტი, 2010 წელი
შპს ნიკორა აგრო	100	საქართველო	7 მაისი, 2004 წელი 18 დეკემბერი, 2015	არააქტიური სასტუმრო	7 მაისი, 2004 წელი 18 დეკემბერი, 2015
შპს როიალ ქაბა	50	საქართველო	13 ივნისი, 2016	ინტერნეტ მაღაზია	13 ივნისი, 2016
შპს ცუცხათი	100	საქართველო	17 ივნისი 2013	უმოქმედო	17 ივნისი 2013
შპს ნიკორა ბაკურიანი	50	საქართველო			
შპს ვებ ტრეიდი	100	საქართველო			
შპს მილა საქართველო	50	საქართველო			

### 3. კონსოლიდაციის საფუძვლები

#### შეილობილი კომპანიები

შეილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსეური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შეილობილი კომპანიების ფინანსეური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსეურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შეილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდგილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით,

სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისათვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილს შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებადი ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაში შესყიდვის დღისათვის, რასაც ემატება მათი წილი კაპიტალის ცვლილებაში შესყიდვის დღის შემდეგ. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

#### **კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ტრანზაქციები**

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია).

#### **4. გუდვილი**

გუდვილი აღირიცხება თვითდირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

#### **გუდვილის გაუფასურება**

გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმომქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც მენეჯმენტი ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირდება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე თავდაპირველად ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე დირებულებას, რომლიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება.

#### **გაუფასურების ტესტი**

გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეფრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი

სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რომელიც გაანგარიშებულია მენეჯმენტის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე.

## 5. სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითდირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასერების ზარალი.

### ა. იჯარა

ბასს 17 იჯარას მიხედვით, როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე ისეთი საიჯარო კონტრაქტით, რომელიც არ გადმოსცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა სარგებელსა და რისკს მოიჯარიდან ჯგუფზე, საიჯარო გადასახდელები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალში საიჯარო პერიოდის განმავლობაში. საიჯარო პერიოდი არის იჯარის კონტრაქტით გათვალისწინებული ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გათვალისწინებულია აქტივის იჯარა, პლუს ნებისმიერი ისეთი შემდგომი პერიოდი, რომლისთვისაც მეიჯარეს აქვს შესაძლებლობა, რომ გააგრძელოს იჯარის ხელშექრულება, საზღაურით ან მის გარეშე, და იჯარის დასაწყისისათვის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მეიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარით გაცემულ ქონებაზე შემოსავლები აღიარებულია წლის შემოსავლებში წრფივი მეთოდით.

იჯარით აღებულ ქონებაზე გადახდები აღიარებულია წლის ხარჯებში წრფივი მეთოდით, ასევე ხარჯად აღიარდება მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა მომსახურება და სადაზღვევო, როგორც გაწეული ხარჯი.

## 6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

## 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის გადა დაახლოებით 30-90 დღიანია. არ ერიცხება პროცენტი. ჯგუფს არ მიაჩნია სავაჭრო მოთხოვნებზე რეზერვის შექმნის საჭიროება, რადგან ისტორიულად არ დამდგარა დებიტორების გაუფასურების შედეგი.

#### 8. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში და ბანკებში არსებულ ნაღდ ფულს. საბანკო ოვერდრაფტები არ შედის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე მიმდინარე ვალდებულებების ნაწილში.

#### 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება როცა მოწინააღმდეგე მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ასრულებს და ეს ვალდებულებები ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებითაა ასახული.

#### 10. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან ვალდებულება გაუქმდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები (გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც ბალანსში სამართლიანი ღირებულებით არის აღიცხებული, ხოლო მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება), თავდაპირველად აღირიცხება სამართლიან ღირებულებით, რასაც აგრეთვე ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა პეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები

- სამართლიანი დირექტულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, სამართლიანი დირექტულების ცვლილებების მოგება-ზარალში აღიარებით;
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები
- ვადიანი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ მისი შედეგი შესაძლებელია აისახოს როგორც მოგება-ზარალში, ასევე პირდაპირ კაპიტალზე. იხილეთ შენიშვნა **Error! Reference source not found.** კომპანიის ფინანსური აქტივების კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით.

ზოგადად, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ წელიწადში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი” ან “ფინანსური შემოსავალი”, გარდა სავაჭრო მოთხოვნების საეჭვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით.

#### i. სეხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექივალენტებს.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი დირექტულებით. შემდგომში ისინი წარდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ჯგუფი ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნებლი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობით. ამ მიზნებისთვის მომავალი მოსალოდნებლი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება სავაჭრო მოთხოვნისთვის შესაბამისი თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ის მოთხოვნები, რომლებისგანაც თანხების ამოღება მოსალოდნებლი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოწერება ხარჯად.

## **გული და ფულის ექვივალენტები**

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

### **ii. ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში**

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში მოიცავს გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილების ჰეჭირების საბუღალტრო აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან ეფუძნება სამართლიან ღირებულებაში ცვლილებას, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზოო გარიგებების შედეგად, ხოლო არააქტიურ ბაზარზე შეფასების მოდელის გამოყენებით.

### **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება**

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შენიშვნაში.

#### **o. სასესხო ვალდებულებები და ბონდები**

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის საწყის ღირებულებასა და დაფარვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ დაკავშირებულია და მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შექმნას, შეძენას ან წარმოებას. ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

#### **oo. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

## **11. კაპიტალი**

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და

ა.შ.) ხორციელდება კომპანიის აქციონერების მიერ. სააქციო კაპიტალის წარდგენილი ჩვეულებრივ აქციების ნომინალურ ღირებულებას, რომელიც მოიცავს

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

შეელა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია მშობელ კომპანიასთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მშობელი კომპანიის რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლებში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

## 12. მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა ბუდილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომპანიაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვთ გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ბალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი

აქტივის რეალიზება ან გალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო გალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და გალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან გალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო გალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფს განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და გალდებულებების გაქვითვა.

**მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც უფლებულია 2017 წლის 1 იანვრიდან**

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახდის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და გალდებულებებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც გალდებულება. ჯგუფის ხელმძღვანელობა თავიდან შეაფასებს აღნიშნულ საკითხს 2018 წლის 1 იანვრიდან.

### 13. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი დირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

### შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც გვალა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ჯგუფმა მიაწოდა მყიდვების საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდვებულზე გადავიდა;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისატვის დაკავშირებული ტრანსაციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

**შემოსავალი მომსახურებიდან**

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება დაითვალოს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისატვის დაკავშირებული ტრანსაციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

სს “ნიკორას” სამეთვალყურეო  
საბჭოს თავმჯდომარე

ვასილ სუხიაშვილი

სს “ნიკორას” გენერალური  
დირექტორი

ირაკლი ბოქოლიშვილი